

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა,
განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს
2014 წლის ანგარიში

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლით გათვალისწინებული
ინფორმაციის თავისუფლების მდგომარეობის შესახებ

- 2013 წლის 1 დეკემბრიდან 2014 წლის 8 დეკემბრის ჩათვლით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოვიდა 216 განაცხადი და ყველას გაეცა პასუხი. აქედან:
 - სრულად დაკმაყოფილდა - 209;
 - განხილვის პროცესშია - 2;
 - ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - 1;
 - უარი ეთქვა - 4 განმცხადებელს;
 - ნაწილობრივი დაკმაყოფილებისა და უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას სამინისტრო ეყრდნობოდა საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსსა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონს;
 - ნაწილობრივი დაკმაყოფილებისა და უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებები განმცხადებლების მიერ არ გასაჩივრებულა;
 - სამინისტროს საჯარო მოსამსახურეების მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დარღვევისა და პასუხისმგებელ პირზე დისციპლინური სახდელის დაკისრების არცერთი შემთხვევა არ გამოვლენილა.
- სამინისტრომ შეაგროვა და დაამუშავა საჯარო მონაცემთა ბაზის შემდეგი სახეები:
 - იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მონაცემთა ბაზას დაემატა 7717 პირის მონაცემი;
 - აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში უძრავი ქონების აღრიცხვის მონაცემებს დაემატა 26 დეკლარაცია, ხოლო უკვე შევსებული დეკლარაციებიდან 1160-ს ჩაემატა დამატებითი მონაცემები;
 - ლტოლვილის სტატუსი მიენიჭა 19 და ჰუმანიტარული სტატუსი - 46 პირს.
- იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ მონაცემები გადაეცა:
 - საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას (ექვსჯერ);
 - სოციალური მომსახურების სააგენტოს (ეგზავნება ყოველთვიურად, დევნილთა მიერ შემწეობის მისაღებად).
- საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღებისათვის მოსაკრებლის ოდენობამ შეადგინა 60,10 ლარი.
- სამინისტროში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირად დადგენილია ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე გოგუცა გურული.